საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-34/ნ

2019 წლის 15 აპრილი

ქ. თბილისი

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15/08/2013; 010170000.22.029.016059) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი) 4^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დევნილი ოჯახის მიერ საცხოვრებელი ფართის შესყიდვის თაობაზე შევსებული განაცხადის შეფასება ხორციელდება ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული №6 და №7 დანართებით განსაზღვრული კრიტერიუმების (გარდა №7 დანართის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმისა) შესაბამისად.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**